ინფორმაცია გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესში
ცვლილების შესახებ

**2015 წლის 1 ნოემბერს ძალაში შევიდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.**

ამ ბრძანების მიხევით, ყველა შემსყიდველმა ორგანიზაციამ, რომელსაც სურს სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სათანადო საფუძვლების არსებობისას (ექსკლუზიური უფლებამოსილება; გადაუდებელი აუცილებლობა; შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ; ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება; ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან უნდა შეათანხმოს გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება. გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება სააგენტოსთან თანხმდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სპეციალური მოდულის გამოყენებით. შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძვლიანობა და მისი დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მოწმდება სპეციალური კითხვარით, რომელიც გენერირებულ იქნება სისტემის SMP მოდულში. საგულისხმოა, რომ სააგენტო, მიმართვიდან არანაკლებ ორი და არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებაზე თანხმობის გაცემის ან თანხმობაზე უარის თქმის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას მხოლოდ სააგენტოს მიერ თანხმობის გაცემის შემდეგ აქვს უფლება, გააფორმოს გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება.

ბრძანებით გამოწვეული ცვლილება არსებითად ცვლის უნივერსიტეტში აქამდე მოქმედ გამარტივებული შესყიდვის მოთხოვნის შინაარსს და საბუთბრუნვის სქემას. კერძოდ, ცვლილებამდე საჭირო იყო მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის თანხმობა,ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, რომელსაც ამზადებდა შესყიდვების განყოფილება. ახალი წესით, სათანადო საფუძვლის მქონე გამარტივებული შესყიდვის მთხოვნელი უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეული, სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი , წერილობითი კორესპონდენციით მიმართავს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის შესახებ. კორესპონდენცია უნდა შეიცავდეს კონკრეტულ, მკაფიო და დასაბუთებულ პასუხს SMP მოდულის კითხვარის პირველ ათ (1-10) კითხვაზე. კორესპონდენციის საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ. ბრძანების გამოცემისთანავე შესყიდვების განყოფილება, ზემოაღნიშნულ კორესპონდენციაზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს SMP მოდულის კითხვარის შევსებას, ატვირთვას, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებამდე პროცედურის მსვლელობაზე თვალყურის დევნებას, კოორდინაციას და ზემდგომი ინსტანციისათვის შეტყობინების გაგზავნას. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი, შესყიდვის პროცედურების ოპერატიულად განხორციელებას. ამასთან ერთად, შესყიდვების განყოფილება გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, გამარტივებული შესყიდვის დოკუმენტაციის მომზადების ნებისმიერ სტადიაზე, გასწიოს სათანადო კონსულტაცია და დახმარება მისი კომპეტენციის ფარგლებში.

ქვემოთ, ნიმუშის სახით, მოცემულია თსუ მაგალითზე შევსებული, უკვე თანხმობა მიღებული კითხვარი/განცხადება, რომელიც განთავსებულია შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში (www.procurement.gov.ge, SMP მოდული). ამავე საიტზე შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ბრძანების და გამარტივებული შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტების გაცნობა.

- **კითხვარი/განცხადება** (ნიმუში)
- კომენტარები

განხილვის საბოლოო თარიღი: **06.11.2015**

ზემდგომი ორგანო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შემსყიდველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესყიდვის საფუძველი

გადაუდებელი აუცილებლობა

ხელშკრულების ვადები

**05.11.2015 - 10.11.2015**

შესყიდვის ღირებულება

**1590** ლარი

შესყიდვის კატეგორია

**79800000 -** ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

კლასიფიკატორის კოდები

79810000 - ბეჭდვითი მომსახურებები

მიმაგრებული ფაილები

*1. წერილი .pdf* 02.11.2015 18:08

*2. ბრძანება .pdf* 06.11.2015 19:42

---

**1.** რა არის შესყიდვის ობიექტი?

შესყიდვის ობიექტია ბეჭდვის მომსახურებები

**2.** რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულში უნივერსიტეტის, როგორც საქართველოს უმსხვილესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების მონაწილეობის აუცილებლობა.

**3.** რამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა?

დაგეგმილი ღონისძიების შემჭიდროებულ ვადებში **-10-17** ნოემბერი **-** განხორციელება

**4.** რატომ ვერ იქნებოდა ვითარება წინასწარ განსაზღვრული?

ღონისძიება დაიგეგმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტში. უნივერსიტეტის მიწვევაზე შეტყობინება მიღებულ იქნა ა.წ. **29** ოქტომბერს (წერილი **#** მეს **5 15 01132139, 29.10.2015**წ.)

**5.** რა რეალური საფრთხე ექმნება შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას?

დადგეგმილ ღონიძიებაში მონაწილეობის არმიღება სერიოზულად დააზარალებს უნივერსიტეტის იმიჯს და გააღარიბებს დაგეგმილი ღონიძიების შინაარსს. ამასთანავე, მოაკლებს შესაძლებლობას აკადემიური წრის წარმომადგენლებს, მოსწავლე ახალგაზრდობასა და ფართო საზოგადოებას გაეცნონ უნივერსიტეტის მრავალდარგოვანი მეცნიერების მიღწევებსა და შესაძლებლობებს.

**6.** ხომ არ აყენებს ვითარება მნიშვნელოვან ზიანს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას? რატომ?

არა

**7.** ხომ არ არის გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით", „არ შედგა" ან „შეწყვეტილია" მინიჭების მიზეზით? (კი/არა)

არა

**8.** გთხოვთ მიუთითოთ ვადა, რომელიც საჭიროა ვითარების აღმოსაფხვრელად.

**7** დღე

**9.** გთხოვთ მიუთითოთ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა შექმნილი ვითარების აღმოსაფხვრელად.

**21** ცალი, **1590** ლარი

**10.** რით დასტურდება, რომ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა არ აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობას?

შესაყიდი საქონლის მოცულობა გათვლილია მხოლოდ ამ კონკრეტულ ღონიძიებებზე და მხოლოდ მათი ჩატარების ვადებზე

**11.** რა ვადაა საჭირო ხელშეკრულების გასაფორმებლად?

**2-3** დღე

**12.** გთხოვთ ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

d.pdf werili ganatlebis.pdf

თსუ საფინანსო დეპარტამენტის
შესყიდვების განყოფილება

11.11.2015.